ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2019 წლის 18 მარტი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №74 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 28/12/2017, 190020020.35.158.016399) დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეს წესი განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების პირობებს, დახმარების მიმღებ პირთა (შემდეგში – ბენეფიციარი) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებსა და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარებისათვის.“

2. ამოღებულ იქნეს დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;

ბ) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ქვეპუნქტი;

გ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ქვეპუნქტი;

დ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ქვეპუნქტი;

ე) მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ქვეპუნქტი;

ვ) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ქვეპუნქტი;

ზ) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ქვეპუნქტი;

თ) მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ქვეპუნქტი;

ი) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ქვეპუნქტი;

კ) 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ქვეპუნქტი;

ლ) 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები;

მ) 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წელზე მეტი ასაკის პირებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულმა ბენეფიციარმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა დახმარების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან;

დ) აუდიტის დასკვნა ზარალის ოდენობის შესახებ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი აპრილიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**